

110  
1937/2

# სიბნელო

საბჭოთავი  
საბჭოთავი



№ 12

1 9 3 7





# კომუნარი

საბ. აღკვ ცენტრალური კომიტეტისა და  
საბ. განსახორმის მართვისური შუკნალი.

დეკემბერი 1937 წ.

№ 12

ბ.ქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომც.— „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: ტფილსი, ვაჟაფშაველას ქ. № 34. ტელ.— 3-92-61

## შინააქსი

1. გავფთხა მავრბარი,—ლ. კიქინაძისა.	1
2. ორი ბრწყინვალე თარიღი (წერილი)	3
3. კახანისე ვიოკბი;—შოთა რუსთაველს (ლექსი)	5
4. ელ.—უკვდავი პოეტი (წერილი)	6
5. ძვარინანი სიმონ,—კახაბერის, ნადიმზე (ლეგენდა)	7
6. მიქელაძე მარიაკა,—ნეტავ შალე გავიზარდო (ლექსი)	11
7. მოწაფეთა შემოქმედება	12
8. ჩიკვპოვი კ.—შისა და დედამიწის შვილი (ნარკვევი)	14
9. კახინანი ვლადიმერ,—ტურა	17
10. გავაკეთოთ სათამაშოები ნაძვის ხისათვის	18
11. პასუხი „პიონერის“ № 11-ში მოთავსებულ გასართობზე	19
12. ჯაში ნიკოლოზ,—კროსვიორდი ვარეკანის მე-3 გვერდზე	



# ბავშვთა მეგობარი

2021

წარმატებით მართლაც რომ უდი-  
დესი გვაქვს. დალაზვროს ეშვამა,  
აღამიანურად, რომ ვთქვათ, კაცს  
გინდა იცოცხლო; მართლაც, შეხე-  
დეთ, რა ხდება, ეს ხომ ფაქტია.

ს. ქიროკვიციანი

სამი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ხალხის  
მტრის ტყვიამ ვერაგულად მოჰკლა შესანიშნავი  
ადამიანი სერგეი მირონიძე ქიროკვიციანი.  
მისი ხსოვნა ხალხის გულში არასოდეს არ წაიშლე-  
ბა, რადგან ის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის  
მშრომელთა ინტერესებისათვის იბრძოდა.

ქიროკვიციანი დაიბადა ძველი რუსეთის ერთერთ  
ყველაზე უფრო მივარდნილ კუთხეში. გაჭირვებული  
იყო მისი ოჯახი. პატარა სერგიოჟს მამა მირონი  
სამუშაოს საძებნელად ურალისაკენ წასულიყო. იქი-  
დან აღარ დაბრუნებულა. სადღაც დაიკარგა. დე-  
დაც მალე გარდაეცვალა. მაშინდელი ეკლიანი ცხო-  
ვრების გზა მშობლების გულთბილი მოპყრობის გა-  
რეშე გაიკვლია ქიროკვიციანი.

ს. ქიროკვიციანი პატარობიდანვე ჩაება რევოლუ-  
ციურ მუშაობაში, ბეჭდავდა რევოლუციურ ფურ-  
ცლებს, ფანტავდა ბაზრებში, ქუჩებში, გზებზე.


ს. ქიროკვიციანი იყო შეუდრეკელი რევოლუციონე-  
რი. იგი ვერ შეაშინა სისხლიანი მეფის ციხემ, გა-  
დასახლებამ. მრავალჯერ იყო დატუსაღებული და  
გადასახლებული, მაგრამ დაბრუნებისთანავე კვლავ  
თავის საყვარელ რევოლუციურ მოძრაობას უდგა  
სათავეში სხვადასხვა ადგილას.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამხანაგი ს.  
ქიროკვიციანი დიდ სტალინთან ერთად გმირუ-  
ლად იბრძოდა სოციალისტური ქვეყნის მშენებლო-  
ბის ფრონტებზე.

ჩვენი თავისუფალი, ბედნიერი ქვეყნის ნორჩი  
თაობა ღრმად უყვარდა სერგეი ქიროკვიციანი. იგი  
პოულობდა დროს, რომ თავისთან გამოეძახებინა  
ბავშვები, ეცნობოდა მათი ცხოვრების პირობებს,  
სწავლის მიმდინარეობას.

1934 წლის გაზაფხულზე ლენინგრადის ქარხანა  
„მეტალისტთან“ არსებულმა პიონერთა რაზმმა, სა-  
გაზაფხულო გამოცდებთან დაკავშირებით, წერილი  
გაუგზავნა ს. ქიროკვიციანს. სერგეი ქიროკვიციანი ბა-  
ვშვების წერილი არ დატოვა უყურადღებოდ. ბა-  
ვშვებს მან გულთბილი პასუხი გაუგზავნა:

„მხურვალედ გისურვებთ წარმატებით დაამთავ-  
როთ სასწავლო წელი. დარწმუნებული ვარ, რომ  
თქვენი კოლექტივის ყველა წევრი გადავა შემდეგ




კლასში „ფრიადი“ და „კარგი“ ნიშნებით. ზაფხუ-  
ლში კი გაამაგრეთ თქვენი ჯანმრთელობა ბანაკებ-  
ში, მოედნებზე, ქალაქგარეთ, მოჰკიდეთ ხელი ფიზ-  
კულტურას, გამოაწრეთ თქვენი კუნთები, თქვენი  
ჯანმრთელობა, რომ მომავალ წელს უკეთესად ის-  
წავლოთ.

კომუნისტური საღამით

ს. ქიროკვიციანი“.

ბავშვები. ქიროკვიციანის პასუხმა ისე აღაფრთო-  
ვანა, რომ მთელი რაზმი, რომელიც 37 ბავშვისა-  
გან შედგებოდა, მეხუთე კლასში წარმატებით გა-  
დავიდა.





სასწავლო წელი რომ დამთავრდა, კიროვი შათ სკოლაში მივიდა ზეიმზე. სიხარულით აღფრთოვანებული ბავშვები გარს ეხვეოდნენ კიროვს. ისინი უამბობდნენ მას თავიანთ ბედნიერ ცხოვრებასა და წარმატებებზე.

კიროვი უდიდეს მზრუნველობას იჩენდა ბავშვებისადმი. მისი პირადი მზრუნველობის შედეგად განიკურნა ლენინგრადელი მქსოველი ქალის ხუთი წლის ბიჭი, რომელიც ძვლის ქლეჭით იყო დაავადებული.

ლენინგრადელი პიონერი ვალოდია მატუსოვი წერს: „მე შემძლია მივბაძო ყოველგვარ ხმას, როგორც ადამიანთა, ისე ცხოველთა ხმებს. ერთხელ ნიჭიერ ბავშვთა კონგრესზე მე გამოვედი და ვაჩვენე მაყურებლებს ყველაფერი საუკეთესო, რაც კი შემეძლო. მთელი დარბაზი ხარხარებდა. მესამე რიგში იჯდა ამხანაგი კიროვი. ისიც გულიანად იციხნოდა. ტაშს მიკრავდნენ. როცა პროგრამა გათავდა, სერგეი მირონისძემ დამიძახა თავისთან. შემაქო და

გამომკითხა, თუ როგორ ვცხოვრობთ სახლში. შემდეგ მითხრა:

—ვალოდია, მოდი ჩემთან სმოლნში. მე ვუთხარი:

—აუცილებლად მოვალ....


დავემშვიდობე კიროვს. გავიდა რამდენიმე დღე, და მართლაც სმოლნიდან მოვიდა ღია ბარათი. ამხანაგი კიროვი გვეძახდა მე და ჩემს ამხანაგებს თავისთან. ჩვენ წავედით. კიროვი ძალიან კარგად შეგვცხვდა. მე მკითხა:

—გინდა თუ არა შეისწავლო მუსიკა?

ჩემი ოცნებაც ეს იყო. რა თქმა უნდა, სიხარულით დავეთანხმე. ამხანაგმა კიროვმა მითხრა, რომ მე ვისწავლი სახელმწიფო ხარჯზე“.

აი რა ახლოს იდგა კიროვი ბავშვებთან და როგორ ზრუნავდა მათზე. ნორჩი თაობა არ დაივიწყებს თავის საყვარელ ადამიანს. ისინი შეისწავლიან მუზნებარე რევოლუციონერის, დიდი სტალინის თანამებრძოლის შესანიშნავ ცხოვრებას და მისაბამ მაგალითად გაიხდიან მას.

ლ. ჭიჭინაძე







## ორი ბრწყინვალე თარიღი

ერთი წლის წინათ (1936 წ. 5 დეკემბერს) კრემლის დიდ დარბაზში საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობამ დაამტკიცა სტალინური კონსტიტუცია—ჩვენი საამური ცხოვრების ძირითადი კანონი.

აღსრულდა საუკეთესო ადამიანთა ოცნებანი. ახალმა ქვეყანამ ფრთები შეასხა იმ მიზნებს, რისთვისაც კაცობრიობის მოწინავე ადამიანები თავდახრილები მიაბიჯებდნენ კატორღისაკენ უკრაინიდან, რუსეთიდან, კავკასიიდან...

„სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა“ (სტალინი).

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ ააფეთქა ექსპლოტატორების ტანტები, გაფანტა შავი ნისლი, და ის ქვეყანა, სადაც წინათ სიცოცხლე ციხეების შავ ჯურღმულებში, ნესტიან სარდაფებში ჭკნებოდა და იფერფლებოდა, ახლა ლენინ-სტალინის პარტიის გენიალური ხელმძღვანელობით აყვავებულ, აკაშკაშებულ, ამწვანებულ ბედნიერ სამშობლოდ იქცა.

მეფის რუსეთი იყო ხალხთა საპყრობილე, ნაციონალური ჩაგვრისა და ხოცვა-ჟლეტის ქვეყანა. მენშევიკების ბატონობამ საქართველოში არაძვ თუ მოსპო ნაციონალური ჩაგვრა, არამედ, პირიქით, ხელს უწყობდა ერთა შორის შუღლისა და უნდობლობის გაღვივებას. სისხლიანი ჯალათი ჯუღელი ცეცხლითა და მახვილით აიძულებდა პატარა ერებს მონობის უღელში ყოფნას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის სამხრეთ ოსეთის მშრომელმა ხალხმა წერილი გაუგზავნა ლენინს, წერილში ისინი სთხოვდნენ ლენინს შეეერთებინა საბჭოთა რუსეთისათვის სამხრეთ ოსეთი. როგორც კი შეიტყო მენშევიკურმა მთავრობამ სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა მისწრაფება საბჭოთა რუსეთისადმი, უმალ გააგზავნა სამხედრო ნაწილები. ჯარისკაცები ხოცავდნენ ყველას, ვისაც ვერ მოესწრო გაქცევა. ჯუღელის სამხედრო ნაწილები ცეცხლითა და მახვილით იჭრებოდნენ ოსეთის სოფლებში. ხალხი გარბოდა მთებისაკენ, მთელი ოსეთი ცეცხლის აღში იყო გა-

ხეული, ცეცხლი უღმობლოდ ნთქავდა დამონებული ხალხის უკანასკნელ თავშესაფარს. ამ დროს ჯალათი ჯუღელი შუაღამისას იღვა გორაზე და ტკბებოდა მის წინ გადაშლილი შემადრწუნებელი სურათით: „იწვის, იწვის სახლები, გარბიან ოსები თოვლით დაფარულ მთებში. იქ მათთვის ეციება, ძალიანაც ეციება. აქ კი რა ფეერიული სილამაზეა. მე მაგონდება ნერონი და რომის დიდი ხანძარი“.

ასე იყო საბჭოთა ხელისუფლებამდის.

დღეს კი, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად, „საბჭოთა კავშირი წარმოდგენს მსოფლიოში ერთადერთ ქვეყანას, სადაც საბოლოოდ ლიკვიდირებულია ურთიერთუნდობლობა ხალხებს შორის და სადაც ხალხთა ურთიერთობა აგებულია ურთიერთუნდობისა, ძმური კავშირისა და მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე“ (საკ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტ. მიმართვიდან).

მეფის რუსეთი ბნელი და უმეცარი იყო. სწავლა-განათლების გზა მშრომელთა შვილებისათვის დახშული იყო. მრავალი ნიჭიერი ადამიანი, ხალხიდან გამოსული, დაიღუპა, ვერ გადალახა ის ბარიერები, რომლებიც გაბატონებულ კლასებს მშრომელთა შვილების წინ აღემართათ. აკადემიკოსი გუბკინი, გლეხობიდან გამოსული, თავის წერილში „როგორ ვსწავლობდი“ წყველით იგონებს მეფის რუსეთს: „მთელი ხნის განმავლობაში მე მიხედვოდა მუშტების ამუშავება, რათა გზა გამეკვლია. თევზივით ვაწყდებოდი ყინულს, — მთელი ჩემი არსებით მივისწრაფოდი გამერღვია ის ზღუდე, რომელშიაც მომწყვდელი იყვნენ მუშათა და გლეხთა შვილები“.

ჩვენი სამშობლოს მზის ქვეშ არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, ბედნიერი თაობისათვის ფართოდაა გახსნილი გზა, რომ ყოველმხრივ განავითაროს თავისი ნიჭი და ტალანტი. დღეს ჩვენს ახალგაზრდობას, რომელსაც უხდება ცხოვრება და დავაუკაცება სტალინურ სამშობლოში, „უცნაურად მოეჩვენებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეთქვათ— თქვენ სწავლა აკრძალული გაქვთ და თუ სწავლა გინდათ, უნდა გადიხადოთ სწავლის მაღალი საფასური. ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე ეს საქმე რომ



რეალური გამზდარიყო, მაშინ ისინი კუდიტ ქვას ასროლინებდნენ ასეთ ხელისუფლებას და სწორედ მოიქცეოდნენ, იმიტომ რომ ამის ჩადენა შეუძლია მხოლოდ კაპიტალისტთა ხელისუფლებას“ (ნ. ეჟოვი).

დღეს პროლეტარიატის საყვარელი ბელადი დიდი სტალინი უდრეს მზრუნველობას იჩენს ბავშვებისადმი.

უფლება თავისუფალი შრომის, უფლება განათლების, უფლება ჯანსაღი დასვენების, უფლება ყველა ადამიანის თანასწორობის, მშრომელი ხალხის ხელშია, და ეს გამარჯვებები ოქროს ასოებითაა ჩაწერილი სტალინურ კონსტიტუციაში. ამიტომაც, რომ მშრომელი ხალხის, მთელი ახალგაზრდობის თავდადება და სიყვარული მიმართულია კონსტიტუციის შემოქმედისადმი — დიდი სტალინისადმი. ამიტომ იყო, რომ 5 დეკემბერს — კონსტიტუციის დამტკიცების წლისთავს — ერთნაირი სიყვარულითა და სხარულით ზერმობდნენ წელმაგარი ადამიანები აყვავებული სამშობლოს ყოველ კუთხეში.

\* \* \*

12 დეკემბერი... ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა ორდონოსი საქართველოს დედაქალაქმა თბილისმა. ჯერ კიდევ არ ათენებულყო, რომ ქალქის ქუჩები გამოცოცხლდა. მთელი თბილისი დამშვენებული იყო ბელადების, სტახანოველების, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანების სურათებით. ამ დღეს დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე თავისუფალი ხალხი ხვას აძლევდა თავის კანდიდატებს უზენაეს საბჭოში, საბჭოთა კავშირის მავრობის შემადგენლობაში ასარჩევად.

საბჭოთა კავშირის 170 მილიონიანმა ხალხმა, როგორც ერთმა კაცმა, პირველ დეპუტატად წამოაყენა და აირჩია დიდი სტალინი, ის, ვინც „ხალხს სამშობლო მოუპოვა, მტერს რომ ძირით მოეთხარა“.

მთელმა ხალხმა ერთსულოვნად აირჩია ის, ვისი ფიქრი ხალხის ნამომედარს „ფესვივით კვებას და ავაყვავებს“.

მთელმა ხალხმა ერთხმად აირჩია ის, ვისი სახელიც ფიცად მისწვდება შორს ინდოეთში მშრომელსაც მაშინ, „როცა ძაღურად სადღაც ქუჩაში სიკვდილი უნგრევს გულმკერდის ფიცარს“.

მთელმა ხალხმა ერთსულოვნად აირჩია დიდი სტალინი და მისი თანამებრძოლი, კომუნისტური პარტიის სახელოვანი შვილები, ისინი, რომლებიც ერთგულად იბრძვიან საბჭოთა ხალხის სასარგებლოდ და ბედნიერი ცხოვრებისათვის.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა უზენაეს საბჭოში წამოაყენა და ხმა მისცა ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, იმას ვისი სისტემატური ხელმძღვანელობა და მზრუნველი ხელით გაიფურჩქნა, აყვავდა და მჩვენარე სიცოცხლის სხარულით აივსო ორდონოსანი საქართველო და ერთერთ მოწინავე რესპუბლიკად იქცა საბჭოთა კავშირში.

12 დეკემბერს მშრომელმა ხალხმა ჩაუშვა საარჩევნო ყუთებში თავისი ბიულეტენები და მისცა ხმები ამხანაგ სტალინს, მის თანამებრძოლთ, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებს, და ამით მოხადა თავისი მაღალი მოქალაქობრივი ვალდებულება, ხმა მისცა ჩვენი სამშობლოს შექმნომ გაძლიერებას, აყვავებას, ხმა მისცა ჩვენი ქვეყნის ბავშვებისა და ახალგაზრდობის შემდგომ ბედნიერებასა და სხარულს.

უზენაესი საბჭოს არჩევნების ბრწყინვალე შედეგები მოუწოდებს თვითეულ პიონერს, თვითეულ მოწიფს — უფრო სერიოზულად და უფრო ღრმად დაეუფლონ მეცნიერებას, მის მრავალმნიშვნელოვან დარგებს.

„თქვენ ვალდებული ხართ, — მიმართავდა 12 დეკემბრის არჩევნებთან დაკავშირებით ამხანაგი კალინინი პიონერებსა და მოწაფეებს, — ფრიადებზე ისწავლოთ. ჩემი სურვილია, რომ თქვენ კარგად სწავლობდეთ. ამისათვის საჭიროა ისე ორგანიზაციულად მოაწყოთ თქვენი სწავლა, ისე გაანაწილოთ თქვენი დღე, რომ მოასწოროთ ფრიადებზე სწავლაც, დასვენებაც, თამაზიც და ფიზკულტურული ვარჯიშობაც. ჩვენ გვინდა, რომ თქვენ იყოთ არა მარტო სწავლულები, არამედ ჯანმრთელებიც, სიცოცხლემჩქეფარენიც და ნხიარული ადამიანებიც“.

ჩვენი პიონერები და მოსწავლეები საქმით დაუბტკიცებენ უსაზღვრო ერთგულებას თავის ბედნიერ სამშობლოს, დიდ სტალინს და მის საუკეთესო თანამებრძოლს, მიხეილ ივანეს ძეს.







# შოთა რუსთველი



დაუნდობლად მტრებმა გდევნეს,  
შეგინახა ბრძოლით ხალხმა...  
ბრწყინავს „ვეფხისტყაოსანი“  
ადრინდელზე მეტად ახლა.

შიგ ოქროა და ელვარებს  
ხილამაზე ცის და მიწის.  
შვიდასი წლის მნათობი ხარ,  
ანათებ და არ დაიწვი!

აგზნებული მგონის გულით  
შემოგვხარი და ხელს გვართმევ.  
ერთნაირად გვიმღერ, გვხიზლავ  
უკრაინელს, რუსს და ქართველს.

ბრძენმა ქვეყნის განახლება  
გაბედულად ადრე იგრძენ.  
გვაძულვებს და ძალას გვმატებს  
შენი ლექსის ხმა და სიბრძნე.

არ გვავიწყებს ის ტარიელს  
და ნესტანის თვალთა ციმციმს...  
დიდმა გრძნობამ, დიდმა აზრმა  
მარად წვა და ბრწყინვა იცის.

რა ძლიერად დაგვიხატე  
ხილამაზე ცის და მიწის,  
შვიდასი წლის მნათობი ხარ,  
ანათებ და არ დაიწვი!





# უკუდავი პოეტი

„...მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მთელი ხალხის შემოქმედებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის პირობებში გახდა შესაძლებელი იგენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლის თავის აღნიშვნა“.

ლ. პ. ბერიძე

მრავალმა წელმა განილო, შვიდნახევარმა საუკუნემ გაირბინა მას შემდეგ.. ეს იყო მეთორმეტე საუკუნეში, 750 წლის წინათ. ამ დროს (ახოვრობდა და მოღვაწეობდა გენიალური ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.

წელთა სრბოლამ ვერ გაცვითა პისი უკუდავი შემოქმედება... დღესაც იტაცებს, დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს შეითხველი მისი „ვეფხისტყაოსნის“ ლამაზ სტრიქონებს. ეს ლამაზი სტრიქონები თავიდანვე შეიქრა ხალხის გულსა და გონებაში. ეს სტრიქონები ხალხმა შეითვისა, შეიყვარა და შთამომავლობას გადასცა ზეპირსიტყვიანობით.

რომელიმე შორეულ, მივარდნილ სოფელში დღესაც ნახავთ მოხუცებულ გლეხს, ამაყმად კოლმეორენს, რომელიც ზეპირად გადმოგცემთ „ვეფხისტყაოსნის“ საუთეისო ადგილებს. ხალხს უყვარდა „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ მას სდევნიდა სამღვდილოება, სდევნიდნენ ბერები და ხუცები. ისინი ამ პოემას „სულის საზიანოდ“ სთვლიდნენ. მათ სურდათ სრულიად აღეგავათ მისი ხსენება... წვაერენ, ანადგურებდნენ ძვირფას ხელნაწერებს.



ნახ. შ. ბერძენაშვილისა

მაგრამ საბოლოოდ მათ მაინც ვერ შეძლეს ამ უზალო შემოქმედების მოსპობა.

შოთას გენიალურმა პოემამ გადალახა ბნელეთით მოცული საუკუნეები და მოაღწია დღევანდელ ბრწყინვალე ეპოქამდის, სოციალისტურ ეპოქამდის. და „ვეფხისტყაოსნისა“, ისე, როგორც კულტურისა და ხელოვნების სხვა ძეგლებს, სულ ახალი მოსიყვარულე მხრუნველი გაუჩნდა. ეს გულთბილი მხრუნველი საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტიაა, ეს მხრუნველი საბჭოთა კავშირის უძლეველი ხალხია.

დღეს მთელი საბჭოთა კავშირი ამაყობს უკუდავი ქართველი პოეტით. დღეს მისი პოემა ფასდება ისე, როგორც არასოდეს, დღეს ამ პოემას იკვლევენ და სწავლობენ ისე, როგორც არასოდეს; დღეს შოთას სახელი ქუხს ისე, როგორც არასოდეს.

საბჭოთა საქართველო და მთელი საბჭოთა კავშირი ზეიმით აღნიშნავენ შოთას დაბადებიდან 750 წლის თავს. 1937 წლის დეკემბერს მოწყობილი ეს გრანდიოზული იუბილე საბოლოოდ უკუდავყოფს შოთა რუსთაველის ბრწყინვალე სახელს.

ელა





# კახაბერის ნადიმზე

# მ

(ლ ე მ ე ნ დ ა)

შენიერია რაჟა თავისი აჭარის მთებში, საძოვარი ფრიალოებით, ბროლის ჩანჩქერებით და ანკარა წყაროებით. შორს განთქმულია რაჭველების შრომის უნარი და საქმიანობა. თვალს იტაცებს ზაფხულობით რაჭის ფორუზი ცა, ზურზუხტად ქცეული ქალები და მთა-გორაკები. სულს ატკობს გრილი, საამო ჰაეა, ლეგენდებს ბადებს სოფ. ნიკორწმინდას მახლობლად მდებარე პაწია ტბები: ხართვალა და ჭელიაღლე. იქვეა უცნაური გვირაბი, სადაც ზამთრობით თბილა, ხოლო ზაფხულობით ზედმეტი სიცივისაგან კეთდება ყინულის ჩურჩხლეები. უცნაურია მდინარე შაორი: მინდვრაჲ მქეფარე, იგი უცებ იკარგება მიწაში და სამი კილომეტრის დაშორებით მოქუხს კლდის ძირიდან ჭელიშის უდაბნოს (მონასტრის) გვერდით.

რაჭას ჩრდილოდასავლეთით ჩამოუდის თავისი მრავალი შენაკდით ცელქი რიონი, შორს ჩრდილოეთით კი ამაყად დასცქერის მარადიული თოვლით დაფარული კავკასიონის მაღალი მთები.

მოხუცი კახაბერ ერისთავი არის სრულიად რაჭის მფლობელი, თამარ მეფის მამობილი და მესაიდუმლე, საქართველოს მტრის რისხვა და ოსეთით მიმავალი შარაგზის გუშავი. მოხუცს მხარს უმხეენებენ ოთხნი ლომივით ვაჟნი, იმეამად შამქორის ომში წასულნი. ხიდიკარის შეუვალი ციხენი, ბარაკონის ძეთრი ტაძარი, წესის მაღლობზე გორაზე გადმოდგარი მაღალკოშკებიანი ორსართულიანი სასახლე ფართო დერეფან-წინგარდებით, მის წინ გაშლილი რიონის პირამდის ვრცელი ეზო, ბუშბერაზი ცაცხვ-კაკლის ხეებით შემკული, იქვე კლდიდან მოხეთქილი ანკარა წყარო, — ეს ცრემლები ამირანისა; ცოტა მოშორებით კი ურავის მთის კალთა-ფრიალოებზე გაშლილა ცხენის, ცხურისა და ძროხის უამრავი ჯოგი, იქვეა 300-მდის ფურირემიც...


ყოველივე ეს ეკუთვნის დიდ კახაბერს, მაგრამ ზვიად ერისთავს არად უზანს ეს დიღუა, ეს სიმდიდრე. მოხუცის სიამაყეს შეიცავს მისი 16 წლის ასული მზია, ეს ნაზი სუმბულე რაჭის მთებისა, ეს შუქმომფენი ცისკარი, განთიადის წინამორბედი.

შორს გავარდნილა მზიას სიტურფის ამბავი. კოლხეთ-ივერის და ირან-თურქეთის აშულ-მგოსნები დამღერენ ჩანგ-ჩანგურ-თარზე ამ ნორჩი ასულის

საოცრიზო მშვენიერებას. მის ცოლად შერთვას ნატრობენ დიდებულთა ქებული ვაჟნი და სეფეწულნი. კახაბერის ცელქი ასული კი დანაუარდობს მამის ვრცელ ბაღნარში ვით ნიამორი და თავისი უმანკო მღერა-კისკისით ჰფენს ირგვლივ სიტკოსი ცოცხლეს და ნეტარებას...

მზიას მშვენიერ სახეს, მის ეშხმთებარე თვალებს, მის ნარნარა ხმასა და ცეკვა-შუმპარს საბედისწეროდ მოუხიბლავს ერთი ქაბუკი, — ეს არის უშიშარი რაინდი, ომში უპოვარი, თვით კახაბერის შინაჲსა და ჩიხისთავი აზნაური დათუნა გოცირიძე.

ნახ. ი. თომიძისა



ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხშიდეს, მიწოდეს და მიისროდეს. წინდორს ხისხლსა მიახშიდეს; რა ისარი დაელივის, მონანიეუ მათომიდეს, მხეცნი, მათგან დაკოდილნი, წაღმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს.



უკვე ერთი წელია, რაც ქალ-ვაჟს შეუყვარდათ ერთიმეორე. გრძნობით სახე ლექსი, ვაჟის ხელით ეტრატზე დაწერილი და უეცრივ ქალის წინ გდებულს; მშვენიერი ვარდი ან ყვავილი, ქალის ნაზი თითებით წყვეტილი და უცებ ვაჟისკენ ტყორცნილი, აი, შეყვარებულთა ენა... დიახ, უყვარდათ მზია-და-თუნას ერთიმეორე; ამას ამჩნევდა ქალის დედა მზეხათუმ, ხოლო ვინ გაუმხელდა ამას ზვიად ერისთავს! მოხრობელს უმალ დაამიწებდა, „თავხედ“ ვაჟს გადაკარგავდა შორს ქვეყანაში, თავის ასულს კი ჩაკეტავდა მღვიმეს დედათა მონასტერში... ამიტომაც ყველა შიშობდა ამის გამხელას.

ეს ამბავი არ დარჩა უცნობი თამარ-პირიმზეს, საქართველოს დიდ მეფეს, მან მოიწადინა ამ საქმეში ჩარევა და შეყვარებულთა შეუღლება.

გავარდა ხმა, — ირანის დიდი ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს ქართველებმა შამქორის ველზე და თამარ მეფე დიდი ამალით ჯავახეთიდან მოეშურება კოლხეთს, რათა ეწვიოს რამდენიმე დღით რაქაში თავის მამოძილსო. ეს საამო ამბავი ამცნო კახაბერს თვით მეფის შიკრიკმა, ქიშვარდ მხეიძემ,

ნახ. ზიჩისა



მით ერთთა მათრახითა თავი ასრე გადაჭერიწა, ვითა მკვდარი, უსულო ჰქმნა, ვითა მიწა, დაამიწა, მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოამიწა, თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კუშტი, ამაყიწა.

იგი ეახლა დიდ ერისთავს და გადასცა თამარის უსტარი.

მოხუცის ბრძანებით მოურავმა მიართვა შიკრიკს საჩუქრად ასი ოქრო და მდიდრულად შეკაზმული ცხენი.

სასწრაფოდ მოახდინა ერისთავმა განკარგულება, რათა შესაფერად დახვედროდნენ „დიდებულ“ სტუმრებს, ხოლო მეორე დღით 40-მდის თავდაზნაურის თანხლებით გაემართა ქუთაისისკენ მეფის შესაგებებლად.

გავიდა რამდენიმე დღე. მოვიდა ცნობა ქუთაისიდან — მობრძანდებიანო. სისხამ დილითვე შეიქნა დიდი მზადება კახაბერის საჯალაბოში. რიონის პირად დაიკლა უთვალავი მსუქანი დეკეული და ურავის მთიდან ჩამოყვანილი რამდენიმე ათეული მსუქანი ცხვარი. გახურდა ათეული თორნე. გლეხის პირაკრული დედაკაცები ზელავდნენ და აცხობდნენ უამრავ პურსა და პირვარდ ხაჭაპურებს. უხარმაზარ ქვებში იხარშებოდა ცხვარ-დეკეულის ხორცი და განთქმული ლორი. შამფურზე იწვებოდა გოჭები, ბატკნები და კალმახები. მოხადეს ასჩაფიანი ჭურები და საკმეველა კაბისტონის 7 წლის ღვინით აავსეს ურიცხვი გოზაური. იქ კიდევ, დიდ ბაღში, ცაცხვებქვეშ იშლებოდა რამდენიმე წყებად გრძელი სუფრები. ყოველივე ამას თაოსნობდა სასახლის მოურავი აზნაური ჯაფარიძე. იღვა უძრავად ერთ ალაგას და, ვით მთავარსარდალი ბრძოლის ველზე, იძლეოდა ბრძანებას, რასაც სისწრაფით ასრულებდნენ ფეხმარდი შინაყმები.

დაცხა საგრძნობლად. ამ დროს სოფ. ამბროლაურის მხრიდან გამოჩნდნენ სტუმრები. მათ მოუძლოდა გულუხვი მასპინძელი კახაბერი. სტუმრები შორითვე შენიშნეს ხიდიკარის ორივე ციხის გუშაგებმა და ბუკის ძლიერი ხმაურით ეს ამბავი ამცნეს სასახლეს. მაშინვე გაეგება მათ კახაბერის მთელი საჯალაბო, აჰა, მოუახლოვდნენ სასახლეს! არაბულ თეთრ რაშზე მოხდენით იჯდა უტურფესი ასული ივერიისა. მის დიდებულ სახეს ამკობდა სამეფო ჯილა. ეს იყო თამარ-მეფე. მარჯვნივ მოჰყვებოდა მასპინძელი კახაბერი, ხოლო მარცხნივ — შამქორის გმირი, მთავარსარდალი ზაქარია მხარგრძელი. ამათ უკან მოდიოდნენ საპატიო კარისკაცი, მათ შორის მწიგნობართ უხუცესი ანტონ ჭყონდიდელი და სახელგანთქმული მწერლები, მათში კი ამომავალი მზე პოეზიისა — დიდებული შოთა რუსთაველი, რომელმაც მიუძღვნა პირიმზე თამარს თვისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. ამათ შემდეგ მოაგვლევდნენ ცხენებს სიმღერით საპატიო გუშაგნი სამეფო დროშით ხელში.

ფართოდ გაიღო ალაყაფის კარები. გადმოხტენ ცხენებიდან. მეფესა და მის ამაღას შეეგება დიასახლისი მზეხათუმ; თან ახლდა მშვენიერი მზია.



მკორე შესვენებასა და საუბარს შემდეგ დასხდნენ სუფრაზე. თავში, ოქრომკედლით ნაქარგ ფარჩის მუთაქებზე დააბრძანეს თამარი, გვერდით მოუსხდნენ კახაბერი და მისი მეუღლე. აფერადდა სუფრები მდიდრულად მოსილი სტუმრებით. გაივსო სუფრები ნაირნაირი ნამზადით. შეიქნა ლხინი და ქეიფი. ფეხმარდი მერიქიფენი დაჰქროდნენ სუფრებს შორის და აესებდნენ ღვინით სასმისებს, ახარფეშებსა და ბადია ყანწებს. მზია და დათუნა თავს ადგნენ თამარს; ერთი აწვიდდა საუკეთესო ნამზადს, ხოლო მეორე უესებდა ღვინით ფილას.

აგუგუნდა სუფრულები და მრავალჯამიერ, გახშირდა ხმები და კაფია შაირები, გადიხარა მზე, მის ოქროვან სხივებს სიამით ექსოვებოდა სტუმარ-მასპინძელთა სიმღერები და მხიარულობა.

პირიმზე თამარ ხანდაზმით შეაგლებდა თვალს შეყვარებულ ქალ-ვაჟს და გრძობდა მათდამი მშობლიურ სიბოალულს. უცებ ასწია თავი და გადახედა სუფრას. შეწყდა ყველაფერი. გამეფა სიჩუმე. ეს დუმილი დაარღვია თამარის ნარნარმა ხმამ.

— ჩემო ქებულო რიტორნო და ფილოსოფოსნო! გვამცნევი თუნ შეკრებილთ, რა უფრო ღირებულია ამ ქვეყნად: დიდი გვარი, სიმდიდრე, უამრავი ყმა და მამული, თუ პირადი ღირსება, ზრდილობა, ცოდნა, სიძამაცე და სხვა სათნოებანი?

მეფის ასეთმა შეკითხვამ შეაკრთო, გააოცა ყველანი, მეტადრე კი თვით კახაბერი. ჩამოვარდა ერთხანს დუმილი. ამ დროს წარმოდგა დინჯად ყველაზე უფრო მსცოვანი, ენამკვერი პოეტი სარგის თმოგველი, ღვინით სავსე ყანწით ხელში, გადახედა იქ დამსწრეთ, შემდეგ მიმართა მეფეს და დაიწყო:

— დილო მეფეო, თამარ პირიმზევე, კოლხეთიერის მშვენიერებავე, სიბრძნევე ციურო, ქვეყნის დიდებავე და ქალთა შორის საკურკელებავ! გწადს შევადაროთ დიდი გვარი პირად ღირსებას? მე მოგახსენებ:

«— ვით მზე დიადი აფრქვევს მიწას შუქსა და სითბოს, ესოდენ გვარი, დიდი გვაო ჰქუნს ყველას სიტკბოს. უგვარო კაცი არის ჭია, მწერი მცოცავი, ფრთებდავლეჯილი, სხვისი მონა და საცოდავი, რაგინდ ღირსებით იქოს იგი მსქელ მოაავი... დიდგვარიანი შექმენია, ვთ მზე ბრწყინავი, იგი ლომია, უგვარო კი—მატლი მფორთხავი“...

თქვა ეს სარგისმა, შესვა სადღეგრძელო, მიუახლოვდა თამარს, დაიხოქა ცალ მუხლზე და ეამბორა ბროლის თითებს. მოხუცი თმოგველის კაფია ლექსმა დიდი ალტაცება გამოიწვია იქ მყოფ დიდებულთა შორის, მეტადრე უხაროდა კახაბერს, რომელიც მიუხედავად თამარს განზრახვას. მან ამაყად ასწია თავი. ასეთივე აზრი გამოთქვეს სხვებმაც, მაგ. ცნობილმა პოეტმა იოანე შავთელმა და გრიგოლ ჩახრუხაძემ. ამათაც დაგმეს უგვარონი და პირადი ღირსებანი, ამავე დროს ქება შეასხეს დიდ-

გვაროვნებს, რითაც ფრიად აწყენინეს თამარს მკორე ხანს იჯდა იგი მდუმარედ თავჩაღონული. მის მშვენიერ სახეს დაუფლებოდა წყენა და შემოქმედებული რება. უცებ გაახსენდა რალაც; ასწია თავი და შეხედა სუფრაზე შორით მჯდომარეს, ყველაზე უფრო ახალგაზრდას, მაგრამ ყველაზე უფრო ნიჭიერს და დიდებულს შოთა რუსთაველს. ის იყო მდუმარედ რალაც ფიქრებში გართული.

— ჩვენო გენოსო პიტიკოსო, ქაბუკო შოთა! შენც გვამცნე რამე,— გაიწყრიალა თამარის ნახმა ხმამ. შეკრთა რუსთაველი, გამოირკვა ფიქრებიდან, წამოდგა სწრაფად და დახარა თავი მეფის წინაშე, შემდეგ გააესო ღვინით პატარა ყანწი, გადახედა დინჯად სუფრაზე მსხდომთ და დაიწყო:

— ფალოსოფოსნი შემოკრებენ,  
ამაზე ჰქონდათ ცილობა;  
პატრონი ყმასა ასაქმებს  
და ჰქუას გამოცდილობა...  
ათხსად გვარი დაფსდა,  
ათიათხსად ზრდილობა...  
თუ კაცი თავად არ ვარგა,  
ცუდია გვარიშვილობა“...

ნან. ი. თოძისა



ზუღა ჯდა შავსა ტაიჭსა, ესე აწ მუ მყავს რომელი,  
მათ ვითა ქარი მსაქროდა გაფიცებულო, მწყრომელი;  
მონა მივსწივე, მისისა შეყრისა ვიყავ მდომელი;  
შევოვალე: დადევ, მიჩვენე, ლომსა ვინ გაწყენს რომელი?



თქვა შოთამ კაფიად ეს დიდებული შაირი. შესვა ღვინო, დაიჩოქა ცალ მუხლზე თამარის წინაშე და ეამბორა მის ხელს. აღტაცებული მეფე დასწვდა დიდ მგოსანს, სინაზით ეამბორა მის ფართო შუბლს და მისცა ალაგი სუფრაზე თავის სიახლოვეს.

მეხვიეთ გავარდა კახაბერის ნადიმზე ეს ახალი ფრიად გაბედული აზრი, ასე ლამაზად თქმული რუსთაველის მიერ. უზომოდ აღაშფოთა თავადნი „თავხედი“ შოთას ასეთმა შაირმა, სადაც გენიოსი პოეტი დიდგვაროვნობაზე ბევრად მალლა აყენებდა ადამიანის ზრდილობას, ე. ი. პირად ღირსებას.

ამ ახალმა, დიადმა აზრმა უზენაესად აღაშფოთა დიდებულნი და ყველაზე უფრო მოხუცი კახაბერი, ამავე დროს ფრიად გაანარა სათნო, კაცთმოყვარე ადამიანი თამარ-მეფე. იგი წყნარად მიუბრუნდა კახაბერს ამ სიტყვებით:

— ხომ გესმის, ჩემო ძვირფასო მამობილო, რას უბნობს ჭაბუკი შოთა, ეს მნათობი სიბრძნე პოეზიისა! კარგად ჩაუკვირდი ამ სიტყვებს, ჩემო ერთგულო.

თქვა ეს მეფემ და გადახედა შეყვარებულ მზია — დათუნას, რომელთა მშვენიერ სახეს ანატიფებდა უზომო სიხარულის ელფერი. მათი გული გრძნობდა რაღაც ბედნიერებას.

წამოიჭრა ზეზე ფრიად შეწუხებული კახაბერი და დაიჩოქა ცალ მუხლზე თამარის წინაშე.

— დიღო მეფეო, მზად ვარ შეგწვირო მთელი ქონება. ჩემი მოხუცი თავი, ჩემი ცოლშვილი! თვით ჩემი ნუგეში მზია ინებე უბრალო მხეველად, ხოლო, გემუდარები, ნუ დამამცილებ ასე, ნუ შემირცხვენ ჭალარა უღვაშს შენს ერთგულ მოხუცს კახაბერს, რომ სიძვედ გაგიხადო ჩემი შინაყმა, ვილაც გოცირიძე, და მივათხოვო მას ჩემი ასული...

თქვა ეს სიტყვები მღელვარე ხმით მასპინძელმა და თვალები აეცო ცრემლით.

ფრიად შეაწუხა თამარი მოხუცის ვედრებამ, მისმა აღელვებამ. უბრძანა ადგომა, მოისვა გვერდით, თანაც ჩაფიქრდა ღრმად. უცებ რაღაც აზრმა გაუელვა თავში, გაუბრწყინდა სახე. მან გაშალა სუფრაზე თავისი აბრეშუმის ხელმანდილი, მოატანინა საწერ-კალამი, დაწერა რაღაც, გადასცა რუსთაველს და უბრძანა წაკითხვა.

შოთა სწრაფად წამოდგა და წაიკითხა:

— „სახელითა ღვთისათა, მე, დავითიან ბაგრატიონი თამარ, მეფე სრულიად საქართველოსა, რანშირვანისა, სომხეთისა და კავკასიონის მთის ხალხებისა, ვაძღვე ჩემს ერთგულ რაჭის აზნაურს დათუნა გოცირიძეს თავადის ხარისხს და ქსნის ხეობის

ერისთაობას ყოველივე ციხე-კოშკებით, დაბა — სოფლებით, ყმა და მამულით.

თამარ“.

— ჩემო მამობილო, ახლაც უარს ეტყვი წინაშე ბაზე ქსნის ერისთავს დათუნა გოცირიძეს? — წარმოთქვა თამარმა ღიმილით.

კახაბერი დაემხო მეფის წინაშე, მხურვალე გრძნობით ეამბორა მის კალთასა და ხელებს:

არა ვარ ღირსი ესოდენ შენი წყალობისა, დიღო მეფეო! უფალმა ღმერთმა მოგიზღოს მუქაფა, რამეთუ შენ განახარე დღეს ჩემი ოჯახი.

— აბა დასვით შეყვარებულნი ჩემს გვერდით! გააჩაღეთ ახალი ღვინო! დაუკარით ტკბილ ჭანგებზე! დღეს მზია-დათუნას ნიშნობაა... — ბრძანა მხიარულად თამარმა.

უზომო აღტაცებამ მოიცვა იქ დამსწრენი. მყის აღსრულდა მეფის ბრძანება. გაჩაღდა ახალი ღვინო. მოგვარეს თამარს უსაზღვროდ ბედნიერი მზია და დათუნა. ესენი დაემხენენ მეფის წინაშე და ეამბორნენ ხელზე. თამარმა ჩაიკრა გულში ორთავენი, აკოცა შუბლზე მშობლიური გრძნობით, შემდეგ მოისვა გვერდით, გამოიძრო ყურიდან ძვირფასი საყურეები და უბოძა მზიას, როგორც პირისანახავი. სტუმრებმაც მიართვეს დანიშნულთ სხვადასხვა სამკაული. სიღედრმა შემოარტყა სიძეს ოქროს ჭამარი, კახაბერმა კი მიუბოძა მას ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ხმალი.

მომღერალთა საამო ხმები და საკრავთა ნაზი ჭანგები ატკობდა ნადიმს... შეიქნა მოხდენილი ცეკვა-შუმბარი.

— შოთა, ვერ ვამჩნევ აქ შენს პირისანახავს! — წარმოთქვა თამარმა.


— ახლავე, დიღო მეფეო! — უპასუხა რუსთაველმა. იგი მიუახლოვდა დანიშნულთ, დალოცა ორთავე და მიუბოძა თამარის ხელმანდილი, რომელიც გაშალა მათ წინ სათუთად. ეს იყო მეფის სიგელი. ამ საქციელით შოთამ ამცნო ყველას, რომ მისმა შაირმა გამოიწვია ეს სიგელი, ქალ-ვაჟის შეუღლება, სტუმარ-მასპინძელთა საზეიმო ღვინო და სიხარული.

კარგახანია რაც დაღამდა, მაგრამ არ ცხრებოდა ქეიფი, ცეკვა და სიმღერები. მხიარულ სუფრებს ეთხოვებოდა მთვარის სხივები. ამ დროს რიონის პირას გაისმა ჩანგის სიმთა ნაზი წკრიალი. მას ექსოვებოდა ჭაბუკი მგოსნის გრძნობით სავსე ჭანგები. ეს იყო დიდებული შოთა. ის განშორებოდა ნადიმს და მღინარის პირას მჯდომარე უვალობდა ბუნების მშვენიერებას.





# ნეტავ მალე გავიზარდო!!!



იცით თქვენ, რომ მე მიტინგზე  
წამიყვანა მამამ გუშინ?

—ოჰ, ნეტავ მეც დიდი ვიყო!  
ვიძახოდი ჩუმიად გულში.

ჰე, რა ხალხი შეყრილიყო,  
ძნელი იყო გვერდის შევლა,  
ნეტავ მალე გავიზარდო,  
რომ მეც გავხდე ამომრჩეველად!

იცით, მე ვის ავირჩევდი?  
გამჭრიახი ვის აქვს თვალი,  
ვინც კლდესავით ურყევია,  
ჩვენს საყვარელ ძია სტალინს!

წითელ ჯარით ვინც ჩვენ გვიცავს,  
ავირჩევდი მასაც, მაშა!  
უსათუოდ ავირჩევდი  
ფოროშილოვს, წითელ მარშალს!


მერე კიდევ ავირჩევდი  
ვინც სკოლები აგვიშენა,  
ბალებით და ხეივნებით  
ვინც ქალაქი დაგვიმშენა.

ვინც ზრუნვით და სიყვარულით  
აჯილდოვებს ბეჯითს ყველას,  
ჩვენს ბერიას ავირჩევდი,  
ავირჩევდი უეჭველად!


ჰეი, კიდევ ერთი ვინმე  
დამაფიწყდა ლამის აკი!  
უსათუოდ ავირჩევდი  
მფრინავ ძია კოკინაკის!

თვითმფრინავში ჩამისვამდა,  
გამათრენდა, როგორც ქარი,  
მეც მფრინავი გავხდებოდი,  
მისი ძმა და მეგობარი!

ჰოდა, ბევრი ლაპარაკი  
ვის რად უნდა, ვის რად არგებს.  
ერთის სიტყვით—ავირჩევდი  
უსათუოდ ყველა კარგებს.







„ვეფხისტყაოსნის“, მე-17 საუკუნის ხელნაწერი

შენ არ მოკვდები, რადგან ხალხში გიდგია ფესვი,  
ხაუკუნენი თუმც მრავალი გაივლის აწიც,  
ხასაცოლოა, რომ „ღვთის პაპებს“ უნდოდათ  
ცეცხლით  
შებრძოლებოდნენ პოეზიის ამ უძლევ არწივს.

ღღღ შოთაო! ვის შეეძლო ცეცხლით დაეწვა  
განძი, რომელიც ხალხის გულში შენახულია?!  
ანდა დიდება შეებღალა შენი, დაეცა,  
ეთქვა: „არ ვარგა, იგი უყვე შელახულია!“

შენი ხატვები, მარგალიტად ჩვენში ნათესი,  
ისევ ხალხშია. გავა წლები...კვლავ იქ დარჩება!  
სიტყვის გენიავ, შენს დიდ სახელს, აწ უღიადებს,  
ხალხი იცავდა, დაიცავს და მას ესარჩლება.

შენ არ მომკვდარხარ, რადგან ფესვი ხალხში  
გიდგია.  
ხაუკუნენი თუმც მრავალი გაივლის აწიც,  
დაგაფასებენ ყოველ დროში, რადგან დიდია,  
ჩვენო პოეტო, შენი შრომა და შენი ღვაწლი!

გ. უკლება

მე-30 სრული საშუალო სკოლის მოწაფე.

## დიდ შოთას

არ მომკვდარხარ, კვლავ ცოცხლობ მილიონთა  
გულებში,  
რადგან დიდ გენიოსებს სიკვდილი არ სჩვევიათ,  
საბჭოეთის ხალხები,—მხნე და გაბედულები,  
ია-ვარდით გმოსავენ საამაყო გენიას.

ძველი ხანა, უმსგავსო, შავბნელი და წყვილია,  
სპობდა, არ აფასებდა ნიჭს და შემოქმედებას,  
ნაშრომს ცეცხლში გიწვავდნენ რელიგიის მსახურნი,  
გასაქანი არ ჰქონდა სამართლეს და შეგნებას.

ღღღ კი შენი პოემა, წინათ შეჩვენებული,  
ხელით ხელში გადადის, ფართო მასებს ეღება,  
ჩვენ მას ხარბად ვკითხულობთ, „გატაცებით  
გითვისებთ,  
გაიფურჩქნა, აყვავდა შენი შემოქმედება!

პიონერი ალ. ბევაშვილი!

სოფ. ანავის (სიღნაღის რაიონი) პიონეროაზში.



ნახ. ზიჩიხა



# შოთა რუსთაველს

შენი რითმების გრძნეული ბგერა  
ყველას გულს ხიბლავს, ყველას იმონებს,  
საუკუნეთა მანძილზე ხალხი  
იზებირებენ უკვდავ სტრიქონებს.

ძვირფას სტროფებში შენ ჯადოსნურად  
სიბრძნე და აზრი ჩაგიქსოვია,  
შეთანხმებული ჰარმონიულად,  
ტკბილხმოვან ჩანგით ავიჟღერია.

შენ გენია ხარ ცეცხლით გზნებული  
და პოეზიის მზე სხივოსანი,  
მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი,  
მგოსანთა შორის გვირგვინოსანი.

დღეს თავისუფალ საქართველოში  
ოქტომბრის მზე რომ ბრწყინავს, ელვარებს,  
ჩვენ, ბედნიერი დროის შეილები,  
დიდებით ვმოსავთ შენს უკვდავ სახელს.

ვანო კირაკოზოვი.

რკინის გზის მე-10 კლასის მოწაფე.

# კავთა მიყვას შოთა

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ ყოველ-  
თვის ხალისით ვკითხულობ. მართალია, ბევრი ად-  
გილი ჩემთვის გაუგებარია, მაგრამ ძირითადი აზ-  
რის გაგებას მაინც ვახერხებ.


როდესაც მაგიდასთან ვზივარ და წინ მიდევს  
„ვეფხისტყაოსანი“, ჩემს თვალწინ თოქოს ცოცხლ-  
დებიან შოთას ამაყი გმირები. უკვდავი ნაწარმოე-  
ბის კითხვისას ვგრძნობ „ვეფხისტყაოსნის“ გმირე-  
ბის სუნთქვას, ცხენების ქარიშხლისებურ ქროლვას.  
ჩემს წინ იშლება გმირობისა და ვაჟკაცობის ლეგენ-  
დარული სურათები.

მე მიყვარს შოთა... მიყვარს მისი ტარიელისა  
და აფხაზების გმირული თავგადასავალი, მიყვარს  
შოთა, როგორც გმირობისა და ვაჟკაცობის მშვენი-  
ერი მომღერალი. ამიტომ ჩვენი ქვეყნის მოწაფეო-  
ბასთან ერთად მხიარულად შევძახი შოთას სურ-  
ათს:

შენ არ მომკვდარხარ, დიდო მგოსანო!  
ამაყი ხალხი გიხუტებს გულში,  
და კვლავ იბრწყინებს შენი სახელი  
საუკუნედან საუკუნეში.

ან. ლოტოვეი

ბორჯომის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოწაფე.



„ვეფხისტყაოსნის“ მე-17 საუკუნის ხელნაწერი,  
გადაწერილი პოეტ ბეგთა-ბეგის მიერ



ქალაქ რუსთავის ციხე



# მგისა და ლაქაინის უკიდი



## იოლი გამარჯვება

დისპუტის შემდეგ დაუყოვნებლივ დაითხოვეს ბრუნო უნივერსიტეტიდან. ორი წელი გაატარა მან ლონდონში ერთ ოჯახში, სადაც მეგობრულად შეიკედლეს. ის ნაყოფიერად მუშაობდა და რამდენიმე შესანიშნავი ფილოსოფიურ-პოეტური ნაწარმოებიც დაწერა. ეს იყო მისი სიცოცხლის ხანმოკლე მშვიდი ხანა. მას მალე მოუხდა ინგლისის თავის მინებება.

ჯორდანო კვლავ პარიზშია. მაშინ პარიზი იყო მსოფლიოს მოფუსფუსე ცენტრი, და ჯორდანოს იმედი ჰქონდა, რომ აქედან გააერცელებდა თავის მოძღვრებას ყველა ქვეყანაში. ბრუნოს კიდევ უფრო მეტ გამარჯვება ხვდა წილად პარიზში გამართულ საჯარო დისპუტზე. მაგრამ აქაც საშიში იყო ეკლესიის გაღიზიანება. დაქირავებული მკვლევების მსაფრთხილი რომ არ გამხდარიყო, ბრუნო დისპუტის მესამე დღეს გაეცალა პარიზს. ის დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, კითხულობდა ლექციებს, კამათობდა დისპუტებზე, სცემდა წიგნებს. ის ყველა ევროპულ ენაზე ლაპარაკობდა და მისი თანამედროვე განათლებული ქვეყნიერების ყველა კუთხეში პოპულარდა მსმენელებს.

ხეტიალათ ცხოვრება არ უძძიმს ჯორდანოს, დევნა ვერ აშინებს მას. მან იცის, რომ ორი ეპოქის მიჯნაზე დგას, და იგი იწოთობა ძველი სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში. ის მეომარია, რომელიც მუდამ მზად არის იარაღს მიმართოს ამ ბრძოლაში.

— ცხოვრება ბრძოლაა, — ამბობს იგი. მზად უნდა იყო უსაქმურთა გათახსირებულობის მოსასპობად, თავხედობის ასალაგმავად და დარტყმის წინააღმდეგ წინასწარი ზოძების მისაღებად.

ეკლესიას იგი ზიზღით იხსენიებს.

— ძალიან დიდია მისი გაუშამლობა. იგი მოდის და ყველაფერს ნთქავს რელიგიის საფარველის ქვეშ.

ცხადია, ეკლესიაც არ არის გულხელდაკრეფილი. მღვდლები შეაჩვენებენ ხოლმე, მის წინააღმდეგ ამხედრებენ თავის მრევლს. ქადაგების დროს ისინი ლანძღავენ ამ დიდ მწვალებელსა და ღვთის

მგმობელს, რომელმაც „თავისი მოძღვრების შნამით მოწამლა მთელი იეროპა“. „ხალხების გამრყენელი ანტიქრისტეს“ წინააღმდეგ ინკვიზიცია ობობას ქსელს ხლართავდა.

და აი, ბუნებით ლამაზ იტალიაში, რომლის მზესა და ლურჯ ცაზე ოცნებობდა ჯორდანო სიზმრად, ოსტატურად ქსოვდნენ მოტყუებისა და გამცემლობის ბადეს. ეს იყო ეკლესიის ნაცადი და ყველაზე უფრო საიმედო საშუალება... მდიდარი და ცნობილი პატრიცი ჯოვანიო მოჩენიგო გულდასმით ეპატიებოდა ბრუნოს თავისთა, ვენეციაში. მას ძლიერ სურდა გასცნობოდა სახელგანთქმული ფილოსოფოსის მოძღვრებას და სწავლებისათვის დიდ გასამრჯელოსაც აღუთქვამდა.

ჯორდანო ყოყმანობდა, მას ხშირად უხდებოდა შიმშილი თავის ხეტიალში, მისი ცხოვრება არ იყო უზრუნველყოფილი. იქ კი მას საშუალება ექნება ხელშეუხებლად ჩაუჯდეს მკნიერებას. გარდა ამისა, მას ხომ საშინლად ენატრება საყვარელი იტალიის სიბოლო... ინკვიზიცია? მაგრამ ვენეცია ხომ თავისუფალი რესპუბლიკაა, ის ხომ არ მოითმენს უკანონობას! გარდა ამისა, მას დამციელი ეყოლება — ისეთი გავლენიანი და პატივცემული მოქალაქე, როგორც მოჩენიგო.

ამგვარი სუსტი მოსაზრებით გააყუა ბრუნომ თავისი შიმის უკანასკნელი გამოძახილი, გულდანდობილი დაბრუნდა სამშობლოში და დანიშნულ ვადაზე... ბრჭკალებში ჩაუყარდა ინკვიზიციას.

ეკლესია ზეიმობდა იოლ გამარჯვებას. ახლა საშიში აღარ არის ყველაზე მძვინვარე ძტერი. კაცობრიობას დიდ მასწავლებილს, ახალი ეპოქის დამწყებს, აღამიანის გონებია თავისუფლებისათვის მუდგარ მებრძოლს მყრალ საპატიმროში ამოაყოფინეს თაი.

ვენეციაში დამპყრობელი დაკოთხვის, საშინელი წაქებისა და პარპოთხე გასამართლების შემდეგ იგი პაპის მოთხოვნით გადაგზავნეს რომში.

ვენეციისა და რომის საპატიმროებში გაატარა ჯორდანო ბრუნომ რვა მძიმე წელი...



მკრთალი სინათლე ქორღულად იპარებოდა სა-  
პატრონოს გისოსში. ორმოცდაპირველი დღის დილა  
თენდებოდა. ჯორდანოს თვლებში ბრძოლაში გა-  
მომწვევის (ეცხლა ელავდა. ის შეუპოვრად და  
ნნიშვნელოვნად იცქირეოდა. იმ ღამეს მის თვალ-  
წინ გაიარა მთელმა მისმა სიცოცხლემ, ყოველმა  
დღემ, და ჯორდანო არ ნანობდა, რომ ამგვარად  
იცხოვრა. მერყობას აწ ადვილი აღარა აქვს!

ისინი მოითხოვენ, რომ ბრუნომ უარყოს მწვა-  
ლებლური შეკდომები. მაგრამ ეს ხომ მისთვის მთე-  
ლი თავისი ცხოვრების უარყოფას ნიშნავს! ეს ნი-  
შნავს იმის ზებღალვ. ს, რაც აღარე თუ გვან მომა-  
იალ თაობათა კურენილებად იქცევი! არა! ისინი  
მხოლოდ მაშინ დაადგომიენ ბრუნოს, როდესაც  
ანოჰკლეჯენ კაცობრიობისათვის ჭეშმარიტების მა-  
რწყებელ ენას!

გაოედან გაიხარუნა უზარმაზარმა ვასალებმა,  
რომელიც ბოქლომში გადატრიალდა. გაიღო კარი,  
აწრიბიხდა და გაბზით აქქესდა დ ქანგული ახჯა-  
მები. საკანში შემოვიდა საპატიმროს უფროსი და-  
რაჯებით.

ჯორდანო წაიყენას „წმინდა“ ტრიბუნალში.

თვითონ დიდი რეკვიზიტორიც კი, მოღუშულ-  
წარბებიანი, ქვეშეიმე, აღმაცერად და გაოცებით  
გახედავდა ხოლმე ამ არაჩვეულებრივ აცამიანს, რო-  
მელსაც მოუღრეკელი ნებისყოფა ჰქონდა. კარდი-  
ნალებისა და მეცნიერების ბრწყინვალე ჯგუფი კი



არ მალავდა თავის ცნობისმოყვარეობას და ისე  
ათვლიერებდა ბრუნოს. მათ თვალეზში ეჭვი  
და უნებლიე პატივისცემა დიადი სულს ეცხლა.  
მელიც იყო ამ ნახ, ავადმყოფურ სხეულში. ბრუნოს  
სახესა და ხელებს ემჩნეოდა ახალახალი წამების  
ნიშნები.

ჯორდანო ბრუნო ამაყად თავაწეული შემოვიდა  
ბორკილის ჩხარუნით და მითითებულ ადგილას და-  
დგა. მან იცოდა, რომ მუხლი უნდა მოიყარა განა-  
ჩენის მოსასმენად, მაგრამ არც კი შენძრეულა, ვიდ-  
რე მცველების უფროსის ტლანქი ხელი არ დააწვა  
მხარზე. მაშინ ჯორდანომ უხმოდ დაიხოქა ცალ  
მუხლზე.

მაშინვე წამოდგა მდივანი და მალალი, საზეიმო  
ხმით დაიწყო განაჩენის კითხვა. ბრტყელბრტყელი  
სიტყვებით ჩამოთვლილი იყო მოუწანებელი ცოდ-  
ვილის დიდი ბოროტმოქმედბანი.

დაღლილმა ღრმელმა გაურბინა უსისხლო ბაგეზე  
ბრუნოს, როდესაც გაიგონა, რომ პაპმა ჩამოართვა  
ბერის სახელწოდება და განკვეთა ეკლესიისაგან.

მაგრამ ბრუნარევი საყვედურით აენთო მისი  
თვალეზი, როდესაც მდივანმა, რომელიც ძლივს იმა-  
გრებდა თავს ალღევებისაგან, წაიკითხა:

„მიესაჯოს ყველაზე ღმობიერი დასჯა — სისხლის  
დაუღვრელობა“.

რეკვიზიტორის ენაზე ეს ნიშნავდა კოცონზე ცო-  
ცხლე დაწვას.

სახე დაემანჭა ჯორდანოს.

მაგრამ ერთი წუთის შემდეგ კვლავ მედიდურად  
გამოიჭრებოდა ბრუნოს ფიგურა. ტუჩები მაგრად  
მოეკუშა. მისი ტუჩები მხოლოდ განაჩენის კითხვის  
დასრულების შემდეგ შეკრთა და ისე ამოძრავდა,  
თითქოს ძლივს ერევა თავის უძრაობასო.

დასწრეთა თვალეზი ბუნდოვანი იმედით და-  
აკვდა ამ ტუჩებს, რომლებიც ნელნელა იღიმებოდა.  
ინკვიზიტორიც კი ნერვიულად შემოტრიალდა სა-  
ვარძელში, იგი ამჟამად მაინც ელოდა შეწყალების  
თხოვნის მოსმენას...

— თქვენ უფრო მეტი შიშით მიკითხავთ განა-  
ჩენს, ვიდრე მე ვისმენ მას, — გარკვევით და მტკი-  
ცედ თქვა ბრუნომ.

და ეს მართალიც იყო. მოსამართლეებმა იცოდ-  
ნენ, რომ ჯორდანო ბრუნომ დენთი ჩაყარა  
ეკლესიის შენობის ქვეშ. ბრუნო მოკვდება, მა-  
გრამ დენთი აუცილებლად აფეთქდება და ჰაერში  
ააფრიალებს სისხლსა და ძალმომრეობაზე აგებულ  
შენობას.

მცველებმა საპატიმროში წაიყვანეს ბრუნო.

როდესაც კვლავ გაიღო მძიმე კარი, ჯორდანო  
სწრაფად წამოდგა ჩალიდან, რომ სასიკვდილოდ  
გაპყოლოდა. მაგრამ იგი შეცდა. მოვიდნენ იმის შე-  
სატყობინებლად, რომ მოწყალე პაპმა კიდევ ხუთი  
დღე მისცა მოსაფიქრებლად. იქნებ ღმერთმა თა-



ვისი გამოუთქმელი მოწყალებით განანათლოს ეკლესიის დაკარგული შვილის გონება...

ბრუნო შეჰდევ ყურს აღარ უგდებდა, ოდნავ ილიმებოდა და ტუჩების გრეხით ბუტბუტებდა: -

— უწმინდესი პაპი ძალიან ღელავს... შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ მას ეშინია მალე არ მიეზღას სამაგიერო...

როდესაც პრელატმა დაამთავრა თავისი შემპარავი სიტყვა, ჯორდანომ ხმამაღლა და გარკვევით უთხრა:

— გთხოვთ ნუ შესწუხდებით. მე ვკვდები როგორც წამებული, და ნებაყოფლობითაც ვკვდები.

### ძრისტანს სახელით

კავკასია მზის სინათლეზე თვალს ეუცნაურებოდა უმაქნისი ვაბდლიალებული ჩირაღდნების ხილვა. ისინი მოჰქონდათ ჭრელი და საუტხოვო პოოცესიის წინ. გაზაფხულის ალერსიანი ქარი აფრიალებდა მეწამულ ბაირაღს პრელატების არეულ-დარეული ბრბოს თავზე, რომელნიც ულაზათოდ გალობდნენ საეკლესიო ჰიმნებს.

მათგან საკმაო მოშორებით, ბორკილების წყნარი ჩხარუნით, ძლივს მოაბიჯებდა პატარა ტანის კაცი, რომელსაც ჭალარა წაბლისფერი წვერი აპბურძგნოდა, ფერმკრთალი, განაწამები სახე ჰქონდა და ღრმად ჩაეარდნილი თვალები უბრწყინავდა. უცნაური ტანსაცმელი ეცვა. ფართო ხალათის ყვითელ არეზე დახტოდნენ და იმარტებოდნენ შავი საღებავით დახატული ემბაკები. თავზე ეხურა ქაღალდის მალაღლი ჩაჩი, რაზედაც ყეყეჩის უაზრო სახე იყო დახატული.

სიკვდილით დასასჯელად მიჰყავდათ ჯორდანო ბრუნო. ენა აკრული ჰქონდა, რომ წმინდა ეკლესიის ცუდად ხსენება არ შესძლებოდა.

უკან მოჰყვებოდნენ საღვთისწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი „მარადიული ქალაქის“ მთავრობის პირები და საპატიო მოქალაქენი. მამა-ინკვიზიტორები, რომლებმაც სიკვდილი მიუსაჯეს ცოდვილს, ბოლოში მისდევდნენ პროცესიას...

ჰაერი შეირბა რომის ყველა ზარის მზიარული რეკვით. ხალხი მიაწყდა ყვავილების მოედანს, სადაც ამართულიყო ხმელი მორებისაგან გაკეთებული და ჩალაშემოდებული უზარმაზარი კოცონის შუაგულში ჩასობილი სვეტი.

მშვიდად ავიდა ბრუნო კიბით კოცონის თავზე. შაგმა ბერმა მოხერხებულად და უცებ მიაქედა იგი ჯაჭვით სვეტზე.

ბრუნომ უკანასკნელად გადაავლო გამოსამშვიდობებლად ნათელი თვალები მოედანს, რომელიც აჭრელებული იყო ბაირაღებით, ხატებითა და ტანსაცმელების მყვირალა წინწყობებით. უზარმაზარ კუდიან საოცრებასავით ავსებდა მოედანს ბრბო, რომელიც განის ქუჩებიდან მდინარესავით მოდიოდა. მალაღლი ალერილი რამდენიმე ათასი სახე მისჩერებოდა კოცონს.



ჯორდანო ბრუნომ დაქანცულმა დახუჭა თვალები. ქვევით უკვე ტკაცუნობდა ცეცხლმოკიდებული ჩალა. ჯორდანო შეკრთა: ქარის შემობერკამ მიიტანა მასთან ცეცხლის პირველი ცხელი ამოსუნთქვა.

ჯორდანოს გაახსენდა: „სისხლის დაუღვრელად“, და სევდიანად გაილიპა. მძვინვარე მოწყალებაა! რა კარგი იქნებოდა, ერთი დაკვრით რომ გაეგდებინებინათ თავი — მაშინ ერთბაშად, გაუწამებლად ჩაიხრჩობოდა მისი სიცოცხლე წამოხეთქილი სისხლის ნაკადში.

ფეხები უკვე გაუხურდა. უკვე აქმინდა მის ქვეშ ცეცხლის უზარმაზარი ღუმელი. ჯორდანო კვლავ შეკრთა და ძრწოლა დაიწყო უეცარი მწვავე ტკივილებისაგან. ცეცხლის ვიწრო ენებმა კლაკვნით აირბინეს მის სხეულზე, ასისინდნენ და თავს ზევით აეარდნენ. ქარმა დაატრიალა დამწვარი ჭალარა თმები და ბოძზე მიმოფანტა...

როდესაც დადგა დამწვარი ხორცის გულისამრევი სუნი, რომელიცაა ჯალათმა ქრისტეს სახელით მიიტანა ჯვარცმა ბრუნოს ტუჩებთან.

ასე გაუსწორდა 1600 წელს ეკლესია ჯორდანო ბრუნოს, ახალი ეპოქის ადამიანს, „მამა მზისა და ღვინა-მიწის შვილს“.

მისი ფერფლი ქარმა გაფანტა, თვითონ მისი სახელიც კი აკრძალული შეიქმნა.

თარგმანი შ. თაბუკაშვილისა





# გურა

ტურას თითქოს ყველა იცნობს, ვის არ გაუგონია მისი სახელი, ვინ არ ახსენებს მას. მაგრამ მისი ნამდვილი ბუნება მხოლოდ ერთეულებმა თუ იციან. ტურა ძალის მსგავსი ცხოველია, იმ განსხვავებით, რომ დინგი წაწვეტილი, ფეხები მაღალი, კუდი შესაძენვედ ბუსუსოებიანი, მელასავით ცბიერი თვალები და ფერადი ბეწვით შემოსილი ტანი აქვს. პირველ შეხედვისთანავე დარწმუნდებით, რომ საქმე გაცივერა ცხოველთან გაქვთ.

ტურა საყოველთაოდ ცნობილია, როგორც შინაური ფრინველის დაულაღავი ქურდი. თუ მოახელთებს, ყელს სჭრის თიკანს, ბატკანს და ხშირად პატარა ბეწვსაც კი. ურცხვად იბარავს აგრეთვე ყურძენს, ქორთა სიმინდს და სხვა. მისი ვერაგობით, განსაკუთრებით ქათმის ტა, იობით მოთმინებიდან გამოსული გლეხი მთელი ღამე დგას თოფით და გულისწყრომით ელოდება მამეზარა მტაცებლის გამოჩენას.

როცა ღამდება, ტურები საღმე სოფლის ბოლოს უხმობენ ერთმანეთს. გაერთიანებულთ ადვილად შეუძლიათ დასძლიონ მტრის წინააღმდეგობა. მართლაცდა, გაერთიანებულ ტურებს ვერავენ ვერ აშინებს, მათ პირდაპირ თავხედურად მიაქვთ იერიში ადამიანზედაც კი.

მათი შესაკრები ნიშანი კვილია. შეკრებილი ტურები ჯგუფჯგუფად იყოფიან და ჩუმად იჭრებიან სოფლებში. გარდა შინაური ორფეხისა (ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი, ციცარი და სხვ.) ისინი ლეშით და ვირთაგვებთანაც იკვებებიან. მათ ყნოსვა ძალზე განვითარებული აქვთ, ისინი შორიდანვე გრძობენ საღდაც ლეშის არსებობას, მოუთმენლად დაფუსფუსებენ, ვიდრე არ მიაკვლივენ გემრიელ ლუკმას...

არა იშვიათად ტურა ამ ხეტიალში სახიფათო შემთხვევებს აწყდება, უცერად თავს წამოადგება მასზე ძლიერი მტაცებელი. ტურამ იცის თავისი ღონის ამბავი, მაგრამ სიმსუხვანვე ყოველივე სიფრთხილეს ავიწყებს, მანამ გარს უტრიალებს სხვის ნადავლს, ვიდრე კარგა რიგანად არ დაისჯება.

საზოგადოდ, გამბედაობით და სიმამაცით აფრიკის ტურები ბევრად წინ უსწრებენ ჩვენს ტურებს. ისინი არ კმაყოფილდებიან ფრინველებით და ისეთ ცხოველებზე ნადირობენ, როგორც ირემი ან ანტილოპია. ამ მხრივ მათი „სამხედრო-საომარი“ ნიჭი განსაკვიფრებელია. ტურები „მზვერავებრ“ საშუალებით იგებენ აღნიშნული ცხოველების ადგილსამყოფელს. შემდეგ მრავალრიცხოვანი „ჯარით“ გარს ერტყმიან თავიანთ სხვერპლს. მსხვილ ცხოველებზე მათ მხოლოდ მას შემდეგ მიაქვთ ჯიქურ იერიში, როცა ყველა გასაველი გზა მაგრად აქვთ შეკრული.

ტურებზე საერთოდ მავნე ელი ცხოველებია; ისინი ჭამენ მძორს, მინდვრის თავებს და სხვა, მაგრამ ეს სარგებლობა ვერ ფარავს იმ ვნებას, რომელიც მათ ჭირნახულისა და შინაური ცხოველების მოსპობის სახით მოაქვთ. ამიტომ ტურებს ხოცავენ და მათი ფერადი ტყავისაგან ათასგვარ მოსახსნამსა და ჩასაცმელებს აკეთებენ. ტურის ტყავების გადამუშავებისათვის საგანგებო ქარხნებიც კი არის მოწყობილი. ტურა ადვილად შინაურდება და ადამიანს ძლიერ ეჩვევა.

ლადო კახიანი





# გაუკეთოთ სათამაშოები ნაძვისხისათვის

## სათამაშოები ქალაღისა, მუყაოსა და ასანთის ლეჩხვისაგან

მუყაოს, ქალაღისა და ასანთის ლერებისაგან სათამაშოების გაკეთება ძლიერ ადვილია და ცოტა დროსაც მოითხოვს.

### ქ ა ლ ა თ ა





ფსკერი და ზედა ნაწიბური უნდა გამოსჭრათ მუყაოსაგან. ფსკერისა და ზედა ნაწიბურის ნაპირზე უნდა გაკეთდეს ერთმანეთისაგან თანასწორ მანძილზე დამორებული ნახვრეტები (ნახ. 1.). ნახვრეტების რიცხვი ფსკერსა და ზედა ნაწიბურზე თანასწორი უნდა იყოს.

ეს გამზადებული მუყაოს ორი ნაწილი ერთმანეთთან ასანთის ლერებით უნდა შეაერთოთ. ასანთის

ლერები უნდა გაუკეთოთ ზევიდან. როდესაც ყველა ასანთის ლერს ჩასვამთ, შემდეგ კალათა უნდა დასწნათ შეღებილი ბურბუშელით, ანდა წვრილი ფერადი ქალაღით. კალათის სახელური შეიძლება გაკეთდეს ქალაღისაგან. აქ თქვენ ხელავე უკვე დამზადებულ კალათას.

### ქ ო ხ ი


აი კიდევ ერთი სათამაშო ასანთის ლერებისაგან. ქოხის კედლები უნდა ააგოთ შეღებილი ასანთის ლერებისაგან. ასანთის ლერები ერთმანეთზე წებოთი უნდა დაამაგროთ. სახურავი კეთდება მუყაოსაგან, ის შუაზეა გადაღუნული, ზევიდან კი დაეწებება მკიდროდ დალაგებული ასანთის ლერები. (ნახ. 2)





## სათამაშოები ჩვეულებრივი ბამბისაგან

აქ თქვენ ხელავთ ფუნჩულა მამალს და წეროს. ისინი ჩვეულებრივი ბამბისაგან არის გაკეთებული თქვენც შეგიძლიათ გააკეთოთ ყველანაირი ცხოველი და ფრინველი ბამბისაგან. ამისათვის საჭიროა ელასტიკური მავთულისაგან გააკეთოთ ამათუიმ ცხოველის ან ფრინველის ჩონჩხი და ზედ შემოახვიოთ ან ძაფით მიამაგროთ ბამბა. მხოლოდ თეთრი ბამბა ჩვენი მუშაობისათვის საკმარისი არ იქნება. ბამბა უნდა გეჭონდეს სხვადასხვა ფერისა. ფერადი ბამბები წინასწარ უნდა მოვამზადოთ, რადგან მუშაობის დროს ბამბის შეღებვა მოუხერხებელი იქნება. ახლადშეღებილი ბამბა გაშრობას მოითხოვს, ამისათვის კი დროა საჭირო.



ბამბა უნდა შეღებოთ ჩვეულებრივი საღებავებით, რომლითაც ქსოვილებს ღებავენ (ეს საღებავები იყიდება აფთიაქში).

საღებავი უნდა გახსნათ თბილ წყალში და ამ ხსნარში უნდა შეღებოთ ბამბა.

დაიხსნამით ერთი რჩევა, როგორც ცნობილია, ბამბის სათამაშოებს ცეცხლი ადვილად ედება. რომ ასე არ მოხდეს, საღებავთან ერთად უნდა გახსნათ მარილი (იმ რაოდენობით, სანა) არ შეწყდება მისი გადნობა). მარილის კრისტალები, რომელიც ბამბაზე იქნება, გახდის მას ცეცხლგამძლე.


შეღებილი ბამბა კარგად უნდა გააშროთ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. სათამაშოს გაკეთებისას ჯერ უნდა გააკეთოთ მავთულისაგან კარკასი (ჩონ-

ჩხი) იმ ცხოველისა ან ფრინველისა, რომლის გაკეთებაც თქვენ გინდათ. არ არის საჭირო, რომ ეს ჩონჩხი ძალიან მიემსგავსოს იმ საგანს, რომლის გაკეთებასაც თქვენ აპირებთ, რადგან ყველა დამახასიათებელი დეტალი შემდგომ უნდა გაკეთდეს თვით ბამბისაგან. როდესაც ჩონჩხი მზად გექნებათ, შემდეგ შემოახვევთ ზედ შეხამებული ფერის ბამბას. ბამბა შემოხვევისას არ უნდა დაწყვიტოთ. ჩონჩხზე ბამბა ზოგიერთ ადგილას ძაფით უნდა მიამაგროთ. არ არის საჭირო, რომ ბამბა ძლიერ გადაჭიმოთ და დატკეპნოთ.

თქვენ ამ მუშაობის დროს, როგორც სკულპტორები, ისე უნდა ცდილობდეთ ბამბას საჭირო ფორმა მისცეთ. ისეთი ნაწილები, რომლების გაკეთებაც ბამბისაგან არ ხერხდება, შეიძლება დამზადდეს ფერადი პრიალა ქალაღებისაგან, რომლებიც ბამბაზე მიეკერება.

## პასუხი „პიონერის“ № 11-ში მოთავსებულ გასაკითოვზე

პასუხი ნაჩვენებია ნახატზე










# კ რ ო ს ვ ო რ დ ი

შედგენილია  
ნიკოლოზ ჯაშის მიერ



## ხიბველი ზოგიერთალუკად:

2. „ვეფხისტყაოსნის“ ერთერთი გმირი ქალი.
4. „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი.
5. თამარ მეფის მეუღლე.
6. ქართული ანბანის პირველი ასო.
7. მეფე ქალი „ვეფხისტყაოსანში“
8. მოკლედ გამოთქმული აზრი.
11. არაბული წარმოშობის სიტყვა, რომელიც ნიშნავს „სატრფოს“.
13. ვინ ატარებდა ვეფხის ტყავს?
15. „ღვთაებრივი კომედის“ ავტორი, იტალიელი პოეტი.
16. შოთა რუსთაველის სამშობლო სოფელი.
17. ციხე, რომელშიაც დატყვევებული იყო ნესტან-დარეჯანი.



- 19. ტარიელის საუკეთესო მეგობარი,
- 22. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემელი.
- 23. „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი გერმანულ ენაზე, ილია ჭავჭავაძის მეგობარი.
- 24. სახელმწიფო, რომელიც გამოყვანილია შოთას პოემაში.
- 25. სპარსეთის სახელგანთქმული პოეტი.
- 28. ნესტან-დარეჯანის მამიდა.
- 29. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მთარგმნელი რუსულ ენაზე.
- 30. ძველი ქართული სიტყვა, რომელიც „მარდს“ ნიშნავს.

ს ი ტ ყ ვ ე ბ ი მ ი რ ტ ი კ ა ლ უ რ ა ლ

- 1. თამარ მეფის დროის პოეტი, მეხოტბე.
- 3. მარცვალთა თანხმიანობა.
- 7. საქართველოს მეფე-ქალი.
- 9. ტარიელის მეგობარი.
- 10. „ვეფხისტყაოსნის“ უნგრულ ენაზე მთარგმნელი.
- 12. აღორძინების ხანა ხელოვნების ისტორიაში.
- 14. საქართველოს პოეტი, მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი გენია.
- 18. „ვეფხისტყაოსანში“ გამოყვანილი არაბეთის მეფე.
- 19. ოპერა „შოთა რუსთაველის“ ივტორი.
- 20. საშუალო საუკუნის მხედარი, გამოსული მალაღლი წრიდან.
- 21. ტარიელის მიჯნური.
- 26. რუსთაველის მიერ შემოღებული ლექსთაწყობის ახალი ფორმა.
- 27. უნგრელი მხატვარი, „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი.